

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2019 წლის 8 მაისს ერთი მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის სახით და მეორეს ააიპ „ხვამლის ამქარი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის დავით სულხანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნომერი NAT190007624) ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვაზე (CPV კოდი 73300000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე: **8464,50 (რვა ათას ოთხას სამოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი)** ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით (დღგ-ს გარეშე) (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურება, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ თანამშრომლები: კონსტანტინე ფიცხელაური, ლალი ახალაია, გ. ხაბურზანია.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

- 4.1 წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს ყოინვერტარიზაციის კვლევის ჩატარების შედეგები ტექნიკური დავალების შესაბამისად.
- 4.2 არქეოლოგიური მომსახურების შესრულების ადგილია ხვამლის მთის ტერიტორია.
- 4.3 შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს მომსახურების დასრულების შესახებ.
- 5.2. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).
- 5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
- 5.4. არქეოლოგიური მომსახურების დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 3.5 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

- 5.5. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
- 5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
- 5.7. თუ შემსყიდველმა გაწეული მომსახურება შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება მომსახურება დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
- 5.8. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).
- 5.9. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

- 6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
- 6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
- 6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის და ინსპექტირების დადებითი დასკვნის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 6.4. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოადგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ფასები

- 7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
- 8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- 8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- 8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
- 8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- 8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- 8.3.2. განახორციელოს კონტროლი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისას;
- 8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტაცია.
- 8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
- 8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.4.3. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 8.4.4. დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- 8.5 დოკუმენტაცია წარადგინოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
- 8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- 8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელის გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექტრონული დოკუმენტი ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

20. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
<p>სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 ს/კოდი: 204562311</p> <p style="text-align: center;">გენერალური დირექტორი</p> <p style="text-align: center;">ნიკოლოზ ანთიძე</p>	<p>ააიპ „ხვამლის ამქარი“ მის: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 21 სს საქართველოს ბანკი კოდი: BAGAGE22 ა/ა GE56BG000000599210900 ს/კოდი: 404441270</p> <p style="text-align: center;">ხელმძღვანელი</p> <p style="text-align: center;">დავით სულხანიშვილი</p>

ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით

ტექნიკური დავალება

❖ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად და დასაცავად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

❖ ძირითადი პირობები

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, წარუდგენს მას ინფორმაციას, წერილობითი ანგარიშის სახით, გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.

სამუშაოების შესრულების გრაფიკი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმდინარეობას და შემსყიდველისათვის ეტაპობრივად წარდგენის გეგმას.

ჩატარებული არქეოლოგიური საინვენტარიზაციო სამუშაოების ანგარიშები, უნდა ჩაბარდეს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს AA4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

შრიფტის სახე - Sylfaen;

ტექსტის შრიფტის ზომა - 11;

სქოლიოს შრიფტის ზომა - 10;

სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,15;

ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან – 1.5სმ, მარჯვნიდან - 1 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5 ს.

აგტორის სახელი და გვარი დაიწეროს სათაურის ქვეშ, მარჯვენა მხარეს. ელექტრონული ფოსტის მითითებით.

სურათები - ნუმერაციის მითითება ტექსტში, ფრჩხილების გამოყენებით, მაგ., (სურ.1).

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ლიტერატურისა და შენიშვნების ჩატანა სქოლიოში.

რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ტექნიკური ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შესწავლილი ფართობის ზუსტი ადგილმდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ადგილი, GPS კოორდინატები);

ბ) ძირითადი შედეგები;

გ) საჭიროა იმ მუზეუმების ან დაწესებულების დასახელება, სადაც დაცული იქნება დაზვერვების შედეგად შემთხვევით გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვარი.

შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება ელექტრონული ვერსიის – კომპაქტური CD დისკის (1 ეგზემპლარი) და მყარი ასლების სახით (2 ეგზემპლარი).

❖ ძეგლის მოკლე აღწერა

ხვამლი, იგივე ხომლი არის კირქვული მასივი საქართველოში, ლეჩხუმში, მხარის დასავლეთ ნაწილში, ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. სიმაღლე 2002 მ. ორმაგი კუესტაა. აგებულია ცარცული კირქვებით. სამხრეთისკენ აჩენს 300 მ. სიმაღლის ქარაფს, სადაც მდებარეობს ხვამლის ისტორიული ქვაბ-სახიზარი. ორივე კუესტის ჩრდილოეთი დაფერდება დაცხრილულია მრავალი კარსტული ძაბრით. მღვიმეებიდან აღსანიშნავია თეკენტერი (შესასვლელი წიფლის ფუღუროდან) და ყინულოვანი მღვიმე ბოგა. ხვამლი შემოსილია შერეული ტყით.

ხვამლის შესახებ ჟამთააღმწერელი და „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილი და ივანე ჯავახიშვილი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

ხვამლის მთაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა მიმოფანტული პრეისტორიული თუ ისტორიული ხანის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები: ციხე-კოშკების ნაშთები, ქრისტანული ხუროთმოძღვრების ნიმუშები, კარსტული მღვიმეები და სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ეს კუთხე მოსახლეობისაგან დღითიდღე იცლება, რაც შემდგომში ამ რეგიონში რაიმე სამუშაოების ჩატარებას გააძნელებს, განსაკუთრებით კი ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვას და ფიქსაციას. საინვენტარიზაციო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში ხელთ გვექნება ხვამლის მთის ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი სრულყოფილი ფოტოდოკუმენტაცია და ველზე მუშაობის დროს მათ შესახებ შეკრებილი ინფორმაცია. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების გატარებას აღნიშნულ რეგიონში.

ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების ინვენტარიზაციით შეიქმნება ხვამლის მთაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობების საინფორმაციო ბაზა, რაც ხელს შეუწყობს ამ კუთხეში სიძველეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის სწორ დაგეგმვას და სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. მოპოვებული ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს. შესაძლებელი იქნება აგრეთვე გზამკვლელებისა და საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ლეჩხუმში ტურისტების მოზიდვას.

❖ **ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციისათვის უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:**

- წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევა;
- ახლად მოძიებული ძეგლების/ობიექტების გავრცელების არეალისა და სავარაუდო საზღვრების დადგენა, ხოლო უკვე ცნობილის გადამოწმება-დაზუსტება
- ახლად მოძიებული და უკვე ცნობილი ძეგლების/ობიექტების ფოტოფიქსაცია;
- გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში";
- სრული სამეცნიერო ანგარიშის მომზადება.

❖ **არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარების პირობები**

- სამუშაოების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფასეული ელემენტების შესანარჩუნებლად. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები შეასრულოს საველე-სადაზვერვო სამუშაოების მეთოდების სრული დაცვით;
- მიმწოდებელი ვალდებულია კვლევით სამუშაოებში ჩართოს სტუდენტები;

❖ **შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში, მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შედეგები, შემდეგი შემადგენლობით:

- შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაციის, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები;
- შესწავლილი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით. კერძოდ: სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში – ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება;

- შესწავლილ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი;
- ტექსტური აღწერილობა;
- გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში" (ობიექტის ინფორმაციის შეტანა, ობიექტის შექმნა, რუკაზე განთავსება, ფოტოების ატვირთვა ანოტაციებით, გრაფიკული მონაცემების ატვირთვა, დოკუმენტაციის ატვირთვა). ინფორმაციის ატვირთვა ბაზაში უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ველების შესაბამისად. იხ. თანდართული ფორმები.

სამუშაოთა შესრულების ვადები

შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს 2019 წლის 1 ნოემბრისა.

ხვამლის შთის კუდტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების ჩამონათვალი	ღირებულება ლარი
1	2	3
1	წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევა;	500
2	ახლად მოძიებული ძეგლების/ობიექტების გავრცელების არეალისა და სავარაუდო საზღვრების დადგენა, ხოლო უკვე ცნობილის გადამოწმება-დაზუსტება	4125
3	ახლად მოძიებული და უკვე ცნობილი ძეგლების/ობიექტების ფოტოფიქსაცია	1000
4	გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კუდტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კუდტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში"	500
5	სრული სამეცნიერო ანგარიშის მომზადება	1000
	ჯამი	7125,0
	ბედნადები ხარჯი არაუმეტეს 10%	712,5
	ჯამი	7837,5
	მთგება არაუმეტეს 8%	627,0
	ჯამი	8464,5
	დღგ 18%	
	სულ	8464,5

დღგ-ს გადამხდელი პირი ვადდებულია ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინოს, როგორც დღგ-ს გარეშე ასევე დღგ-ს ჩათვლით (სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე)

სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა	VII კვირა
წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევა;							
ახლად მოძიებული ძეგლების/ობიექტების გავრცელების არეალისა და საგარეუდო საზღვრების დადგენა, ხოლო უკვე ცნობილის გადამოწმება-დაზუსტება							
ახლად მოძიებული და უკვე ცნობილი ძეგლების/ობიექტების ფოტოფიქსაცია							
გამოვლენილი ობიექტების (უძრავი/მოძრავი) შესახებ ინფორმაციის ატვირთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში"							
სრული სამეცნიერო ანგარიშის მომზადება							

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

8 მაისი, 2019 წელი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს თანამშრომლები ვადასტურებთ, რომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ხვამლის მთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვის პროცედურაში ხელშეკრულება #3/188 ტ 08.05.2019 წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ჯგუფის წევრები:

ლალი ახალაია



გიორგი ხაბურზანია

